საინფორმაციო წერილი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი** გაცნობებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება **კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი**, რომელიც ჩატარდება თბილისში (საქართველო) **2023 წლის 17-19 ოქტომბერს**.

კონგრესი ეძღვნება თსუ **კავკასიურ ენათა კათედრის დაარსების 90 წლის იუბილეს**.

კონგრესის მიზანია, კომპლექსურად წარმოადგინოს კავკასიის ლინგვისტური და ანთროპოლოგიური პორტრეტი არქაული პერიოდებიდან თანამედროვე ვითარებამდე, ამიტომ სამეცნიერო ფორუმი იმუშავებს **შემდეგი მიმართულებებით**:

- იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის აქტუალური საკითხები; ისტორიულ-შედარებითი, აღწერითი და არეალურ-ტიპოლოგიური კვლევები;
- კავკასიის ანთროპოლოგია;
- კავკასიის ისტორია და წყაროთმცოდნეობა; ისტორიული გეოგრაფიისა და დემოგრაფიის საკითხები;
- კავკასიის პალეოგრაფია;
- ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები;
- ლიტერატურათმცოდნეობა და ლიტერატურის ისტორია;
- კავკასიის არქეოლოგიური კულტურები; კულტურის ისტორია;
- კავკასიის ხელოვნებათმცოდნეობა და ხელოვნების ისტორია;
- კავკასიის ჰერალდიკა და ნუმიზმატიკა.

მონაწილეს შესაძლებლობა ექნება, სურვილის შემთხვევაში, შექმნას **საავტორო პანელი**.

ლიცენზირებული უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ: ვინაიდან იმუშავებს **სტუდენტთა სპეციალური სექციები**, გთხოვთ, გააცნოთ საინფორმაციო წერილი სტუდენტებს (ბაკალავრი მესამე კურსიდან და ზემოთ, მაგისტრი/მაგისტრანტი, დოქტორანტი), რომლებიც უფლებამოსილნი არიან, წარდგნენ კონგრესის წინაშე მომხსენებელთა სტატუსით.

სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური და რუსული.

მასალები მიიღება **2023 წლის 30 აგვისტომდე**.

ტექნიკური მოთხოვნები:

1. ფაილის რედაქტორი — MS Word;
2. გვერდის ზომა — A4;
3. შრიფტი ყველა სამუშაო ენისათვის — Sylfaen, შრიფტის ზომა — 11, ხაზებს შორის ინტერვალი — 1;
4. შრიფტი საენათმეცნიერო ტრანსკრიფციისათვის — ICL_Symbol და TITUS Beatstream Unicode;
5. თეზისის მოცულობა — მაქს. 500 სიტყვა;
6. ფაილის სათაურის ფორმატი — გვარი სახელი (თეზისი).docx

მასალა მიიღება მხოლოდ ელექტრონული სახით მისამართზე congress.caucasology@tsu.ge

კონგრესის ჩატარების **ფორმატი — ჰიბრიდული.**

აუცილებელი განმარტება: ავტორი, რომელიც არ წარმოადგენს მოხსენებას/პრეზენტაციას მის მიერ არჩეული ფორმატით, ვერ მიიღებს მონაწილის სერთიფიკატს და, შესაბამისად, მასალებიც არ გამოქვეყნდება.

პატივისცემით
კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტი